დიდიმო (დიდიმ) მირცხულავა (2022)

დირიჟორი და პედაგოგი დიდიმ მირცხულავა დაიბადა ქუთაისში 1912 წელს ღარიბი მუშის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ხონის შვიდწლიან სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა მე-2 ცხრაწლიან შრომის სკოლაში. 1926-1927 წლებში მუშაობდა სხვადასხვა ადგილას დღიურ მუშად. 1928 – 1929 წლებში მსახურობდა მე-3 ქართულ მსროლელთა ლეგიონში მუსიკოსად. 1930 წელს დაამთავრა ა.ლ.კ.კ. საოლქო კომიტეტის მიერ გახსნილი უმაღლეს სასწავლებლის შემსვლელთა გადასამზადებელი კურსები და ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმი. 1931 წელს მიიღეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სადირიჟორო ფაკულტეტზე დირიჟორ ევგენი მიქელაძის კლასში, რომელიც დაამთავრა 1937 წელს. სწავლის პარალელურად დ. მირცხულავა 1936-1938 წლებში მსახურობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეტრში სამუსიკო ნაწილის გამგედ და დირიჟორად. 1937 წლის დეკემბრიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორია. 1941 წელს დაამთავრა კონსერვატორიის სადირიჟორო კლასის ასპირანტურა. 1951 წლიდან საოპერო კათედრასთან არსებულ სამუსიკო სტუდიაში მოღვაწეობდა. 1957წ-დან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტია, ხოლო 1968 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

მრავალფეროვანია დიდიმ მირცხულავას სადირიჟორო რეპერტუარი. იგი დირიჟორობდა როგორც ქართულ, რუსულ ისე ევროპულ ოპერებსა და ბალეტებს, სიმფონიური მუსიკის კონცერტებს. აღსანიშნავია შემდეგი ოპერები: ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, გრ. კილაძის „სინათლე“, დ. თორაძის „გორდა“, ა. მაჭავარიანის „ოტელო“, ს. ცინცაძის „დემონი“, ჟ. ბიზეს „კარმენი“, შ. გუნოს „ფაუსტი“, პ. ჩაიკოვსკის „მაზეპა“, „ევგენი ონეგინი“, ფ. შოპენის „შოპენიანა“, ჯ. გერშვინის „ცისფერი რაფსოდია“, პ. ჩაიკოვსკის სიმფონია №5, ბეთხოვენის საფორტეპიანო კონცერტი №5 და სხვა.

დ. მირცხულავას 1950 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო 1958 წელს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. 1951 წელს მიღებული აქვს სტალინური, 1986 წელს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიები. დაჯილდოებულია ორდენებით „საპატიო ნიშნის“, „შრომის წითელი დროშის“, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ „კავკასიის დაცვისათვის“, „შრომის ვეტერანი“ და საპატიო სიგელებით. 1974 წელს აირჩიეს საარბრიუკენის თეატრის საპატიო დირიჟორად.

გარდაიცვალა 1996 წლის 29 ნოემბერს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დიდიმო მირცხულავას პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. დიდიმო მირცხულავას ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.
   1939 წ. 7 მაისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 2 გვ.

2. დიდიმო მირცხულავას საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდების დამადასტურებელი.
1958 წ. 21 აპრილი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ტუში. 1 გვ.

3. დიდიმო მირცხულავას ატესტატი პროფესორის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1968 წ. მოსკოვი. ასლი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. დიდიმო მირცხულავას პასპორტი.
1976 წ. 19 მაისი. თბილისი. ასლი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. 1 გვ.

5. დიდიმ მირცხულავას ავტობიოგრაფია
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

6. დიდიმ მირცხულავას ავტობიოგრაფია
უთარიღო. ავტოგრაფი. ბეჭედდასმული. კალამი. 1 გვ.

7. დიდიმო მირცხულავას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი
1939 წ. 3 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 4 გვ.

8. დიდიმო მირცხულავას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი
1993 წ. 1 ივლისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ბეჭედდასმული. ლურჯი კალამი. ერთვის ფოტო. 4 გვ.

9. დიდიმ მირცხულავას ცნობარი
1955 წ. 25 აპრილი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

10. დიდიმო მირცხულავას დახასიათება გაცემული თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორატის მიერ.
1993 წ. 7 ივლისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს რექტორი ნ. გაბუნია. 1 გვ.

11. დიდიმ მირცხულავას დახასიათება საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მინიჭებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. ბრძანება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი თბილისის მუსიკალური სასწავლებლის გაერთიანებული ორკესტრის დირიჟორის თანაშემწედ დიდიმ მირცხულავას დანიშვნის შესახებ.
1939 წ. 20 სექტემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

13. ბრძანება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი დიდიმ მირცხულავას მე-3 მუსიკალური სასწავლებლის საორკესტრო კლასის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.
პირი: შ. თაქთაქიშვილი, ა. გეჯაძე.
1940 წ. 9 თებერვალი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

14. ბრძანება საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი დიდიმო მირცხულავას მადლობის გამოცხადების შესახებ. პირი: შ. თაქთაქიშვილი, გეჯაძე, გ. ონიაშვილი.
1940 წ. 17 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

15. ბრძანება თბილისის სახელმწიფო ოპერისადმი დ. მირცხულავასათვის საყვედურის გამოცხადების შესახებ.
1941 წ. 17 იანვარი. ნაბეჭდი. 1 გვ.

16. ბრძანება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი დიდიმ მირცხულავას თბილისის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის დირიჟორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
1945 წ. 8 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

17. ბრძანება დირიჟორ დიდიმ მირცხულავას ხელფასის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.
1945 წ. 31 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

18. დიდიმო მირცხულავას ცხობა საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახის სულადობის შესახებ.
1993 წ. 17 ივნისი. ბლანკი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. კალამი. 1 გვ.

19. დიდიმო მირცხულავას ცნობა პენსიის რაოდენობის შესახებ.
1993 წ. 24 ივნისი. თბილისი. ხელნაწერი. სტამბური. ბეჭედდასმული. კალამი. 1 გვ.

20. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ დავით მაღრაძისადმი დ. მირცხულავასთვის რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ.
1993 წ. 8 ივლისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ. ხელს აწერს პრორექტორი ლ. სამსონიძე.

21. დიდიმო მირცხულავას განცხადება საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ა. გიგოშვილისადმი საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.